

შეცვლილი გარემოებისადმი ხელშეკრულების მისადაგების

პრობლემატური საკითხები

მარი გაბაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო
(ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ამირან მეშველიშვილი, სამართლისმაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

მარი გაბაძე 06.07.2015

აბსტრაქტი

ხელშეკრულების ძალით სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილენი ნებაყოფლობით კისრულობენ ამა თუ იმ ვალდებულების შესრულებას. თუმცა ხშირ შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება ვერ სრულდება სხვადასხვა ობიექტური გარემოებების გამო. იქედან გამომდინარე, რომ დაცული იყოს ორივე მხარის ინტერესი და მიღწეულ იქნეს მათი მიზნები საჭიროა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტის არსებობა.

შეცვლილი გარემოებების ხელშეკრულებისადმი მისადაგებისას მართალია ვერ დადგება ორივე მხარისათვის მისაღები შედეგი, რადგან უნდა მოხდეს გადახვევა ხელშეკრულების შეთანხმებული პირობებისა, ამის მიუხედავად მხარეები უნდა წავიდნენ კომპრომისზე, მოახდინონ ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების გადასინჯვა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ვალდებულების შესრულება ვერ მოხდება. მისადაგების დროს კი მართალია შეცვლილი პირობებით,“ არასრულად“ მაგრამ მაინც ხდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

შესაბამისად შეცვლილი გარემოებებისადმის ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტის მიზანია თავიდან აირიდოს მხარეთა უსამართლო მდგომარეობა და შეცვლილი გარემოებისადმის ხელშეკრულების ადაპტირებით აღადგინოს სახელშეკრულებო წონასწორობა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ხელშეკრულება, შესრულება, შეცვლილი გარემოებები, მისადაგება.

Abstract

Participants of the civic relations voluntarily undertake to fulfill this or that obligation by virtue of the contract. However, in most of the cases an obligation included in the contract cannot be fulfilled due to various objective circumstances. For the both parties' interests to be protected and their goals to be achieved, it is essential to have an institute which would apply changed circumstances to the contract.

While applying changed circumstances to the contract, result will not be acceptable for both parties as the terms of the contract will have to be digressed from. However, parties should compromise and revise initial terms of the contract as otherwise, obligation will not be fulfilled. During application, though, with changed conditions and "incompletely" but still obligations undertaken according to the contract are fulfilled.

Therefore, the aim of the institute applying the contract to changed circumstances is to avoid an unfair condition for the parties and to restore contract balance by adapting the contract to changed circumstances.

Key words: contact, fulfill, changed circumstances, apply